# ფინედუს ამბები

გამოშვება #01

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პლატფორმა
www.finedu.gov.ge-ს ყოველკვარტალური შეჯამება

8 აპრილი, 2026
I კვარტალი

## მთავარი ამბავი

### #ისაუბრეფულზე - ფინედუს ორგანიზებით საქართველო „ფულის გლობალური კვირეული 2026“-ს საერთაშორისო კამპანიას შეუერთდა

კამპანიას საქართველოს ეროვნული ბანკი წელს უკვე მეთორმეტედ კვლავ მასშტაბური ღონისძიებებით შეუერთდა. აქტივობები 16–23 მარტს დაიწყო და დაახლოებით ორი თვის განმავლობაში გაგრძელდება.

- პროექტი - „მოიწვიე ფინედუ კლასში“
- პროექტი - „გახდი ფინედუს მასწავლებელი“
- კონკურსი: „ჩემი რეგიონი - ჩემი ბანკნოტი“
- კონკურსი: „ისაუბრე ფულზე - ისაუბრე კიბერუსაფრთხოებაზე“
- ციფრულ არხებში გავრცელებული კამპანია #ისაუბრეფულზე.




› ვრცლად

## კვარტალი ციფრებში

| | | | |
|---|---|---|---|
| 512,200 | 32,413 | 811 | 39,989 |
| ფეისბუქ გვერდის უნიკალური ვიზიტორები | არაპირდაპირი ბენეფიციარები | პირდაპირი ბენეფიციარები | ვებ-გვერდის უნიკალური ვიზიტორები |

## სხვა ამბები



### ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტის სხდომა

18 თებერვალს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტის მორიგი, მეათე სხდომა ჩატარდა. შეჯამდა 2025 წელი, დამტკიცდა ამავე პერიოდის სამოქმედო გეგმა და დაისახა 2026 წლის პრიორიტეტები. აღსანიშნავია, რომ 2026 წელი ფინედუზე ციფრული წიგნიერებისა და კიბერუსაფრთხოების წლად გამოცხადდა.

› ვრცლად

### მასწავლებლების მხარდაჭერა

ფინედუზე დაორგანიზებული ტრენინგკურსების მორიგი ნაკადების ფარგლებში 83 მასწავლებელი გადამზადდა.

- „სკოლა-ბანკის“ მონაწილე 33 მასწავლებელი თავიანთ სკოლებში VII-IX კლასის მოსწავლეებისთვის თამაშით სწავლების მეთოდზე დაფუძნებული გაკვეთილებს ჩაატარებენ.
- 50 მოქალაქეობის მასწავლებელი კი ფინანსური და ეკონომიკური უნარ-ჩვევებით აღიჭურვნენ.

› ვრცლად







## მოსწავლეები ეროვნულ ბანკში

ეროვნულ ბანკში სკოლის მოსწავლეთა ვიზიტები იანვარ-თებერვლის პერიოდშიც გრძელდებოდა. ფინედუს მიერ ორგანიზებულ ფინანსური განათლების ღია გაკვეთილებს 14 ფინანსური განათლების კლუბის 250-მდე მოსწავლე დაესწრო.

› ვრცლად











## კონკურსები

ფინედუმ 2 კონკურსი დაარგანიზა: ნახატების კონკურსი „ჩემი რეგიონი - ჩემი ბანკნოტი“ და კომიქსების კონკურსი „ისაუბრე ფულზე - ისაუბრე კიბერუსაფრთხოებაზე“ . ნახატების კონკურსში 451 ნამუშევარი შემოვიდა, რომელთა შორის ჟიურის შეფასებით 6 გამარჯვებული გამოვლინდა, 1 ნამუშევარი კი მომხმარებლის რჩეული გახდა. კომიქსების კონკურსში ნამუშევრების მიღება 27 აპრილამდე გრძელდება, გამარჯვებულები კი 15 მაისს გამოვლინდებიან.

› ვრცლად

## იცოდი თუ არა, რომ?

ფინედუს მიერ გამოცხადებული ყველა აქტივობა უფასოა და მონაწილეობის მიღება ღია რეგისტრაციით ხდება.

finedu.gov.ge

## — საქართველო და მსოფლიო - ფინანსური განათლების დონე

### როგორია ფინანსური განათლების დონე გლობალურ შედეგებთან შედარებით?

საქართველოს მოსახლეობის ფინანსური წიგნიერების დონის კვლევა ბოლოს 2019 წელს ჩატარდა „OECD/INFE"-ის მეთოდოლოგიის საფუძველზე. საქართველოს ფინანსური წიგნიერების ქულამ შეადგინა 21 ქულიდან 12.1 (57.6%), რაც ნაკლებია გლობალური კვლევის მონაწილე ქვეყნების საშუალო ქულაზე (12.7 ქულა), ასევე OECD-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე (13.0 ქულა). საქართველო ანალოგიურ კვლევაში წელსაც ერთვება, რომლის შედეგების გამოქვეყნება მომავალი წლისთვის იგეგმება.




› ვრცლად

## არ გამოგრჩეთ

ფინედუზე მასწავლებლებისთვის კონკურსი მიმდინარეობს. გამარჯვებულს გადაეცემა ეროვნული ჯილდოს ტიტული და 5000 ლარი BasisBank - ბაზისბანკი -სგან.

› ვრცლად



## ყველაზე ხშირი კითხვა ფინედუზე

### როგორ დავიწყო დაზოგვა თუ მცირე შემოსავალი მაქვს?

დაზოგვის დაწყება პირველ რიგში დამოკიდებულებებისა და ფოკუსის ცვლილებაა:

- *შეცვალეთ აღქმა:* დაზოგვა არის არა „ფულის მოკლება“, არამედ საკუთარი თავისა და მომავლისთვის გადახდა;
- *მიზანზე ორიენტაცია:* ნუ ფიქრობთ შემოსავლის სიმცირეზე. დასახეთ კონკრეტული მიზანი (მაგ. „უსაფრთხოების ბალიში“). როცა გაქვთ „რატომ“, გზა უფრო მარტივი ხდება;
- *ჩვევა თანხაზე მნიშვნელოვანია:* დაიწყეთ სიმბოლური 1-5%-ით. მთავარია დაამტკიცოთ, რომ თქვენ მართავთ ფულს და არა ფული - თქვენ;
- *ხარჯების ანალიზი:* ხარჯვამდე ჰკითხეთ საკუთარ თავს ეს საჭიროებაა თუ სურვილი. ეტაპობრივად გაზარდეთ თანხა, რომელიც თქვენს მიზანთან დაგაახლოვებთ. გამოიყენეთ ბიუჯეტირების „50-30-20" წესი და შემოსავლის 50% აუცილებელ ხარჯებზე მიმართეთ, 30% - სურვილებზე, 20% - დანაზოგზე.

ფინედუს დანაზოგის კალკულატორი გიჩვენებთ კონკრეტულ სცენარებს.

## რჩევა ციფრული წიგნიერებისთვის

ონლაინ სივრცეში უსაფრთხოება თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა, ძლიერი პაროლები კი უსაფრთოხების ფუნდამენტია. გამოიყენეთ გრძელი და კომპლექსური პაროლები. იყავით უნიკალური. დაამატეთ დაცვის კიდევ ერთი დონე (მაგ. ორდონიანი ავთენტიფიკაცია). მოიფიქრეთ თქვენთვის ადვილად დასამახსოვრებელი პაროლები.  პერიოდულად შეცვალეთ პაროლები. არავის გაუზიაროთ პაროლი.

❌ Tbilisi123 ✅ Tbili$158#.

### დაგეგმილი ღონისძიებები - II კვ.2026

**23 აპრ.** წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღე

**2 მაი.** დაზღვევის დღე საქართველოში

**16 აპრ. - 15 მაი.** გახდი ფინედუს ელჩპანი მასწავლებელი



# ფინედუს ამბები

info@finedu.gov.ge +0322 406 406 www.finedu.gov.ge